ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის



განხორციელების ვადა: 01.02.2018 - 31.01.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 600 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Gori Municipality

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/pg/CityHallofGori/about/?ref=page_internal, facebook.com/CityHallofGori/

პროექტის აღწერა:

გორის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტია საქართველოში, რომელმაც გრანტი მიიღო ევროკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) პროგრამის ფარგლებში, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და მერებს ეხმარება ეკონმონიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში.

პროექტის ფარგლებში იქმნება ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა გორის მუნიციპალიტეტში, მათ შორის, რეკრეაციის პარკი ქალაქის ცენტრში, ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, საგამოფენო სივრცეები, პარკინგი, ველო-ინფრასტრუქტურა თუ სახელოსნოები.
პროექტის პარტნიორის - გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზემის ტერიტორიაზე 200 კვ.მ ტერიტორია გამოიყო საკვებისა და სუვენირების დასამზადებელი სივრცის მოსაწყობად. მზადდება სტაჟირებისა და ტრენინგების მოდულები ახალგაზრდებისთვის/სტუდენტებისთვის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შეიქმნება სატრენინგო სივრცეები. ახალგაზრდებისთვის, სტუდენტებისთვის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის იქმენა ბიზნეს კონსულტირების სერვისი, რომლით სარგებლობაც უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი პროექტის განმავლობაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- შექმნილია კომპლექსური ინფრასტრუქტურა, მათ შორის, რეაბილიტირებული პარკი, საგამოფენო სივრცე, ტურისტული სიანფორმაციო ცენტრი, ველო-ინფრასტრუქტურა, ტერიტორია კაფესა და სუვენირების მაღაზიისათვის, პარკინგი, ბარგის საცავი და სანიტარული კვანძები;
- გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამოქმედებულია 7 სახელოსნო
- მოწყობილია სივრცე ტრენინგებისათვის, ხოლო ახალგაზრდებს და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ უფასოდ გაიარონ ტრენინგი, სტაჟირება და მიიღონ საკონსულტაციო მომსახურება ტურიზმის სექტორში, სადაც ყოველწლიურად სულ მცირე 30 ახალგაზრდა ჩაერთვება ტურიზმის სექტორში;
- გორის ახალი ტურისტური ინფრასტრუქტურის მასშტაბით სულ მცირე 20 სამუშაო ადგილია შექმნილი.